



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 192
06/04/2017

ბრძანება

192-09-4-201704061501



**კურორტ ბემუმში საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი)
მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების
დამტკიცების შესახებ**

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის 20 მარტს ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო ქ. ბათუმის ტაბიძის ქ. №19ა. ბინა №35–ში მცხოვრებ ლეილა აბაშიძის №2787/09 განცხადებაზე კურორტ ბემუმში მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23.14.35.477) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობის ნებართვის (პირველი ეტაპი-მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; მეორე ეტაპი-არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება) გაცემის შესახებ.

მის მიერ წარმოდგენილი იყო „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლით, მე-IX-ე და მე-X-ე თავებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობის რეგულირების ღონისძიებათა შესახებ“ მე-8-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის და მე-3-ე პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესათანხმებლად (I-II ეტაპი ერთდროულად) გადაეგზავნა ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობის რეგულირების საბჭოს (კორესპოდენცია №09/2459. 22.03.2017წ.), როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, საიდანაც მოსულია თანხმობის წერილი (კორესპოდენცია №01-10/1315. 03.04.2017წ.) და საბჭოს 2017 წლის 03 აპრილის №04 გადაწყვეტილების (მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეგისტრაციის №3480/09. 03.04.2017 წ.) ელექტრონული ვერსია.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს ლეილა აბაშიძის მოთხოვნა და დამტკიცდეს კურორტ ბეშუმში მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23.14.35.477) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის და მე-IX-ე თავით და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის ანზორ ცეცხლამის 2017 წლის 04 აპრილის N944-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვბრძანებ:

- 1) დამტკიცდეს კურორტ ბეშუმში ლეილა აბაშიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23.14.35.477) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
- 2) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 3) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა.ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5)მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ბაუჩაძე



გამგებელი

ხელმძღვანელობა